მემორანდუმი №02/05

(ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე)

ქ. დმანისი 6 ივნისი 2024 წელი

ერთის მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტი (ს/კ: 228928391) (შემდგომში „მუნიციპალიტეტი“) წარმოდგენილი მერის კობა მურადაშვილის სახით და მეორეს მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“ (ს/კ: 211348816) (შემდგომში - „ ა(ა)იპ“) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მაია ბიბილეიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „მხარეები“, ვხელმძღვანელობთ რა მხარეთა თანასწორობის და პატივისცემის პრინციპებით, ვისწრაფით რა, ხელი შეუწყოთ ყველა ბავშვის ჰარმონიულ განვითარებას საზოგადოებაში, რასთან დაკავშირებითაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

1.1 დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის (შემდგომში - შშმ) მქონე ბავშვების/პირებისა და მათი ოჯახების მხარდამჭერი სერვისების განვითარება.

1.2 ამ მიზნის მისაღწევად მხარეები ერთობლივად მოიძიებენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შშმ ბავშვებსა და პირებს. შეისწავლიან სამიზნე ჯგუფისა და მათი ოჯახების საჭიროებებს.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

2.1. წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე მხარეები უზრუნველყოფენ დმანისის მუნიციპალიტეტში შშმ ბავშვებისთვის ა(ა)იპ–ის მიერ დაფუძნებული სერვისების მხარდაჭერას;

2.2. მუნიციპალიტეტში მცხოვრები განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების /პირების გამოვლენა, მათ განვითარებაზე ზრუნვა და ოჯახების გაძლიერების პროგრამით უზრუნველყოფა;

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. მხარეები განახორციელებენ თანამშრომლობას მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ბავშვების/პირების და მათი ოჯახების ინტერესებიდან გამომდინარე;

3.2. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს:

3.2.1 ა(ა)იპ - ს მიერ დანერგილი სერვისების შეუფერხებელი განვითარების ხელშეწყობად ფინანსურ თანამონაწილეობას - 42 000 (ორმოცდა ორი ათასი ლარის ოდენობით)
3.2.2 შშმ ბავშვთა განვითრების ცენტრის დაფუძნების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ფართის გამოყოფას ქ. დმანისში.

3.3. ა(ა)იპ განხორციელებულ პროგრამებში უზრუნველყოფს:

3.3.1 დონორების მოძიებას პროგრამათა მხარდასაჭერად, გამოყოფილი ფართის რემონტსისათვის, ფართის საჭირო ავეჯით და რესურსებით აღჭურვისათვის;

3.3.2. მომუშავე სპეციალისტთა შერჩევას, მომზადება-გადამზადებას; მეთოდური სახელმძღვანელოებითა და მხარდამჭერი ლიტერატურით აღჭურვას, მათთვის შესაბამისი ტრენინგით უზრუნველყოფას;

3.3.3 ცენტრის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მშობლებისა და მეურვეებისათვის ბავშვის მხარდამჭერი ტრენინგ მოდულების შედგენასა და ტრენინგ-პროგრამების უზრუნველყოფას.

3.3.3 შშმ ბავშვთათვის სახელმწიფო პროგრამების დაფუძნების უზრუნველყოფას და გაფართოებას, მუდმივი ზედამხედველობის უზრუნველყოფა პროგრამათა გამართული მუშაობისათვის;

3.3.4. სახელმწიფო პროგრამად რეგისტრირების ფარგლებში პროგრამული თანხის შემოტანას შშმ ბავშვთა დღის ცენტრისათვის 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამის არგლებში 25 000 (ოცდახუთი ათასი ლარი), სულ 100 000 (ასი ათასი) ლარი
3.3.5. ყოველწლიური ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოთხოვნილი ფორმით;

4. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

4.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 10 (ათი) წლის ვადით.
4.2. მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:
4.2.1. მემორანდუმის მოქმედების ვადის გასვლა;
4.2.2. მემორანდუმის პირობების უხეში დარღვევა რომელიმე მხარის მხრიდან;
4.2.3. მხარეებს 3 თვით ადრე წინასწარი დასაბუთებული წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე შეუძლიათ ცალმხრივად შეწყვიტონ მემორანდუმი;
4.2.4. მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
4.2.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლები;
4.2.6. ამ პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებები და ანგარიშვალდებულებები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის, ე.წ. ,,ფორს-მაჟორული" გარემოებების მოქმედებით, კერძოდ საომარი—სამხედრო მოქმედებებით, გაფიცვით, სტიქიური უბედურებით (წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი), ბლოკადით, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციული აქტებით ან ქმედებებით და სხვა.
5.2. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილონ ერთმანეთი ,,ფორს-მაჟორული" გარემოებების დადგომისა და მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
5.3. მხარეების მიერ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების შეწყვეტამდე.

6. დავების გადაწყვეტა

6.1. მხარეთა მიერ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავა ან უთანხმოება უნდა გადაწყდეს უპირატესად ურთიერთმოლაპარაკების გზით.
6.2. თუ მხარეები ურთიერთმოლაპარაკებით ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, თითოეული მხარე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ სადავო საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს და სასამართლო განხილვის წესით მოახდინოს სადავო საკითხის გადაწყვეტა.

7. კონფიდენციალურობის პირობები

7.1. მხარეთა მიერ ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. კერძოდ, ბენეფიციართა და მათი ოჯახის წევრთა შესახებ მოპოვებული ინფორმაცია წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და არ დაიშვება გაცნობა მესამე პირთათვის, ოჯახების წინასწარი თანხმობის გარეშე. აგრეთვე მხარეებმა უნდა უზრუნველყონ მემორანდუმის შესრულებისათვის გამიზნული კორესპონდენციისა და სხვა საქმიანი დოკუმენტაციის მესამე პირთა ხელყოფისაგან დაცვა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა დაიშვება წერილობითი ფორმით, ორივე მხარის ხელმოწერით და ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8.2. იმ შემთხვევებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მემორანდუმით, მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ძალადაკარგულად გამოცხადების ან ბათილად ცნობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები რჩება ძალაში.

8.3. მემორანდუმი შედგენილია ელექტრონულად, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სათანადოდ დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით და მისი თითოეული ელექტრონული ეგზემპლარი ითვლება ორიგინალად.

8.4. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დებულებებით მინიჭებული უფლებები და დაკისრებული ვალდებულებები, ზუსტად იციან ამ დებულებების შინაარსი და საჭიროების შემთხვევაში მიღებული აქვთ შესაბამისი იურიდიული კონსულტაცია.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

დმანისის მუნიციპალიტეტი:	ა(ა)იპ „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“
ს/კ: 228928391;	ს/კ: 211348816;
მის: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. N41	მის: საქართველო, ქ. თბილისი რაიონი, ვაჟა–ფშაველას ქ.№76ბ;
მუნიციპალიტეტის მერი:	თავმჯდომარე:
კობა მურადაშვილი	**მაია ბიბილეიშვილი**

DMANISI MUNICIPALITY
Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY
Date: 2024.06.06 10:22:33 +04'00'

Maia
Digitally signed by Maia Bibileishvili